გურთიად
GÜRTİAD
ქართველ და თურქ ბიზნესმენთა ასოციაცია
GÜRCÜ VE TÜRK İŞADAMLARI DERNEĞİ

*HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ*
*კვირის ეკონომიკური გამოცემა*

*2019 / 25 – 01* *Ekim/ოქტომბერი - Kasım/ნოემბერი*

| Nüfus / მოსახლეობა | GSYİH ($) / მშპ ($) | GSYH (büyüme) /მშპ | İşsizlik / უმუშევრობა | Enflasyon / ინფლაცია |
|---|---|---|---|---|
| 3 723.5 | 4 345.5 | 4.7 % | 12.7 % | 6.4 % |

Gürcistan Başbakanın Sn. Giorgi Gakharia'nın Türkiye Ziyareti

საქართველოს პრემიერ მინისტრის გიორგი გახარიას ვიზიტი თურქეთში



Gürcistan Başbakanı Sn. Giorgi Gakharia Gürcistan Ekonomi ve Dışişleri Bakanları eşliği ile Türkiye'nin Başkenti Ankara ziyaret etti. Türkiye Cumhurbaşkanı Sn. Recep Tayyip Erdoğan, Gürcistan Başbakanı Giorgi Gakharia Cumhurbaşkanlığı Külliyesi'nde Kabul etti ve kapalı toplantı ardında ortak basın toplantısı düzenledi.

Sn. Erdoğan yaptığı konuşmada, Başbakan'a yeni görevinden dolayı tebrikleri iletti ve İlk ziyaretlerinden birisini Türkiye'de yaptığından dolayı memnuniyeti belirtti. Cumhurbaşkanı Erdoğan, "Stratejik ortaklık seviyesinde devam ettirdiğimiz ilişkilerimize ara vermiştik. Dışişleri Bakanlarımıza verdiğimiz talimatla bu süreci hızlandıracağız" dedi. "Ticaretten turizme, enerjiden savunmaya her alanda gelişen ilişkilerimiz var" diyen Erdoğan, "Stratejik ortaklığımızın bölgemiz için olumlu sonuçlar doğuracağına inanıyorum" ve iki ülke arasındaki ticaret hacminin 1,5 milyar dolardan, 3 milyar dolara çıkarılması konusunda mutabık kaldıklarını belirtti.

Sn. Gakharia yaptığı konuşmanın başlangıcında Sn. Erdoğan'a ve Türk halka 29 Ekim Cumhuriyet Bayramı kutladı; Gürcistan'ın bağımsızlığına ve toprak bütünlüğüne verdiği destek için teşekkürleri sundu ve bölgedeki bütün çatışmaların barışçıl çözümünü desteklediğini belirtti. Sayın Başbakan, Gürcistan'ın Türkiye ile özel, yakın, kardeşçe ilişkilerinin ve stratejik ortaklığının olduğunu belirtti ve bu ilişkinin daha da güçlendirmesi ve derinleşmesi için çalışmalarının sürdüreceğine söz verdi. Konuşmanın sonunda ise Ankara'daki üst düzeyli stratejik konsey toplantısından sonra Cumhurbaşkanı, İlkbaharda Gürcistan'a resmen davet etti.

საქართველოს პრემიერ მინისტრი გიორგი გახარია ეკონომიკის და საგარეო საქმეთა მინისტრების თანხლებით თურქეთის დედაქალაქ ანკარას ეწვია. თურქეთის პრეზიდენტმა, რეჯეფ ტაიპ ერდოღანმა საქართველოს პრემიერი პრეზიდენტის სასახლეში მიიღო და დახურულ კარს მიღმა ჩატარებული შეხვედრის შემდეგ მათ ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს.

პრეზიდენტმა ერდოღანმა სიტყვით გამოსვლისას პრემიერ გახარიას მიულოცა თანამდებობაზე ახლად დანიშვნა და საზღვარგარეთ გამართული ვიზიტებიდან ერთ-ერთი პირველი ვიზიტის თურქეთში გამართვისთვის მადლობა გადაუხადა. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ქვეყნებს შორის სტრატეგიული ურთიერთობის ფარგლებში დაწყებული ურთიერთობა დროებით შენელდა და მთავრობის ხელმძღვანელების მიერ საგარეო საქმეთა მინისტრებისთვის მიცემული მითითებით პროცესები

AK YIL ZEMIN · Ank Catering · ARKAS GEORGIA LLC · EM Ermed GEORGIA · İŞBANK · KOÇ · KABLO · LC Waikiki · ნავთობპროდუქტი · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · Ziraat Bankası

დაჩქარდება. ერდოღანმა ასევე აღნიშნა, რომ ორ ქვეყანას ერთმანეთთან ვაჭრობიდან ტურიზმამდე, ენერგო სექტორიდან თავდაცვამდე თითქმის ყველა სექტორში აკავშირებს ურთიერთ თანამშრომლობა და აღნიშნული ურთიერთობა, სტრატეგიული პარტნიორობის ფარგლებში, ქმნის საფუძველს, რომ რეგიონის მასშტაბით ჩამოყალიბდეს დადებითი შედეგები. მან ასევე აღნიშნა მხარეებს შორის შეთანხმება ორ ქვეყანას შორის არსებული 1.5 მილიარდიანი სავაჭრო ბრუნვის 3 მილიარდამდე გაზრდის თაობაზე

გიორგი გახარიამ სიტყვით გამოსვლისას პირველ რიგში პრეზიდენტს და თურქ ხალხს რესპუბლიკის დღე მიულოცა. მან მადლობა გადაუხადა პრეზიდენტს საქართველოს დამოუკიდებლობის და ტერიტორიული მთლიანობის მტკიცე მხარდაჭერისთვის და აღნიშნა, რომ საქართველო რეგიონში არსებული ყველა კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებას უჭერს მხარს. პრემიერ მინისტრმა ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს განსაკუთრებული, მჭიდრო, ძმური ურთიერთობები და სტრატეგიული პარტნიორობა აკავშირებს თურქეთთან და საქართველო ყველაფერს გააკეთებს, აღნიშნული ურთიერთობების გასაღრმავებლად. პრემიერმა გახარიამ უმაღლესი დონის სტრატეგიული საბჭოს სხდომის ანკარაში გამართვის შემდეგ კი პრეზიდენტი ერდოღანი გაზაფხულზე საქართველოში ოფიციალურად მოიწვია.

## 2019 yılı Eylül Ay Gürcistan'ın GSYH
## საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი 2019 წ. სექტემბერში

Gürcistan Milli İstatistik Kurumunun verilerine göre 2019 yılı Eylül Aynıda Gürcistan'ın GSYİH %5.2 artmıştır. Bununla birlikte 2019 yılı ilk 9 ay boyunca ortalama büyüme oranı %5.0 teşkil edilmiştir.

Büyüme aşağıdaki sektörlerde görülmektedir: İnşaat; Nakliye; Ticaret; HoReCa; İşleme endüstri; Azalma aşağıdaki sektörlerde görülmektedir: Madencilik; Kamu, Sosyal ve Kişisel Hizmetler.

2019 წლის სექტემბერში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდამ 5.2 პროცენტი შეადგინა. ამასთან, 2019 წლის პირველი ცხრა თვის საშუალო რეალური ზრდა 5.0 პროცენტს შეადგენს.

2019 წლის სექტემბერში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ზრდა შეინიშნებოდა მშენებლობაში, ტრანსპორტში, ვაჭრობაში, სასტუმროებსა და რესტორნებში, დამამუშავებელ მრეწველობაში. კლება დაფიქსირდა სამთომოპოვებით მრეწველობაში და კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევის დარგში.

## Ekonomi Bakanı Kutaisi ve "Tav Georgia" Yönetimindeki Tiflis Havaalanlarını Ziyaret Etti
## ეკონომიკისა მინისტრი ქუთაისის და „ტავ ჯორჯიას" მმართველობის ქვეშ არსებულ თბილისის აეროპორტებს ესტუმრა

Gürcistan Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakanı Sn. Natia Turnava, Tiflis ve Kutaisi Uluslararası Havaalanlarını ziyaret etti ve mevcut durumu ile ilgili bilgi aldı. Bakan, hava alanlarının iniş ve kalkış terminallerini mağazaları ve kafeleri, havayolu yazar kasaları, kayıt terminalleri denetledi. Natia Turnava'ya göre, Gürcistan turizm açısından en cazip pazarlardan ve ülkelerden birisidir ve her şeyden önce gerçek yüzümüzü turistlere ilk karşılayan havaalanları temsil etmelidir.

AK YIL ZEMIN Ank Catering ARKAS GEORGIA LLC Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC Waikiki MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM Ziraat Bankası

Bakan, havaalanlarındaki başarıları dile getirdi ancak çoğunlukla olumsuzluklara odaklanmış oldu ve gözlenen eksikliklerden memnuniyetsizliğini duyurup düzeltmeleri için havaalanı yöneticiliğine sınırlı zaman verdi. Kusurlar çoğunlukla havaalanı lavabolarında, salonlarındaki hizmetlerinde, sıralarında, kafeler ve restoranlarında ortaya çıkarmıştır. Bakan, devlete ait olan ve yeni terminali inşa edildiği Kutaisi Uluslararası Havaliman'ın örnek olması gerektiğini vurguladı.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ნათია თურნავა თბილისისა და ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტებს ეწვია და არსებულს ვითარებას გაეცნო. მინისტრმა აეროპორტის მოფრენის და გაფრენის ტერმინალები, შენობებში არსებული მაღაზიები და კაფეები, ასევე ავია სალაროები და სარეგისტრაციო დახლები დაათვალიერა. ნათია თურნავას თქმით, საქართველო ტურისტულად ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი ბაზარი და ქვეყანაა და პირველ რიგში, სწორედ აეროპორტებმა უნდა წარმოაჩინოს ჩვენი რეალური სახე, რომლითაც ქვეყანა სტუმრებს ეგებება.

მინისტრმა აღნიშნა აეროპორტების მიღწევები, თუმცაღა აქცენტები ძირითადად უარყოფითზე გააკეთა. ეკონომიკის მინისტრმა უკმაყოფილება გამოთქვა დათვალიერების შედეგად აეროპორტებში ნანახ ხარვეზებზე და ხელმძღვანელობებს მათ გამოსასწორებლად გარკვეული ვადა მისცა. ხარვეზები ძირითადად მოიცავდა აეროპორტებში განთავსებულ სველ წერტილებს, გაფრენის დარბაზში არსებულ სხვადასხვა სერვისებს, რიგებს, კაფეებს და რესტორნებს. მინისტრის განმარტებით ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი, რომელიც სახელმწიფოს ეკუთვნის და სადაც ახალი ტერმინალის მშენებლობა მიმდინარეობს სანიმუშო უნდა იყოს.

### Otopark Kurallarının İhlali Nedeniyle Ceza Miktarı 50 GEL'e kadar Arttı
### პარკირების წესების დარღვევისთვის ჯარიმა 50 ლარამდე იზრდება

Tiflis Belediye Başkanı Sn. Kakha Kaladze'nin açıkladığı gibi, mevcut yasala uygulanan değişikliklerden dolayı otopark kuralların ihlali için ceza 10 Lari'den 50 Lariye kadar artmıştır. Tiflis Belediye Başkanı ayrıca ceza ödeme sisteminde uygulanan değişikliklerden de bahsetti. Kanun ihlali tutanakların artık özel web sitesine yüklenmesi teslim etme anlamına gelecektir www.parking.tbilisi.gov.ge. Belediye




başkanın açıkladığına göre, ceza kesildikten 10 gün içerisinde vatandaşların web site üzerinden ceza ödeme durumunda %20 indirimden yararlanacağını belirtti.

თბილისის მერის, კახა კალაძის განცხადებით ავტომანქანის პარკირების წესის დარღვევისთვის, კანონში შესული ცვლილების თანახმად ჯარიმა 10 ლარიდან 50 ლარამდე გაიზარდა. თბილისის მერმა ჯარიმის გადახდის წესის ცვლილებებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ სამართალ დარღვევის ოქმი სპეციალურ ვებ-გვერდზე განთავსების შემდეგ ჩაბარებულად ჩაითვლება parking.tbilisi.gov.ge. მერის განმარტებით ჯარიმის გამოწერიდან 10 დღის განმავლობაში დაჯარიმებული პირი თუ კი შევა ვებ-გვერდზე, ის მიიღებს 20 პროცენტიან ფასდაკლებას და მას არ მოუწევს ჯარიმის თანხის სრულად გადახდა.

AK YIL ZEMIN · Ank Catering · ARKAS GEORGIA LLC · Ermed GEORGIA · İŞBANK · KOÇ · KABLO · LC WAIKIKI · ნაბახტარი · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · Ziraat Bankası

Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი (01.11.2019)

USD/GEL – 2.9582 TRY/GEL – 0.5161 EUR/GEL – 3.2960 GBP/GEL – 3.8303

USD/GEL

25 – 01 Ekim/kasım 2019




USD/TRY

25 – 01 Ekim/kasım 2019




TRY/GEL

25 – 01 Ekim/kasım 2019




| Uluslararası Reyting<br>საერთაშორისო რეიტინგი | |
|---|---|
| | |
| İş Yapma Kolaylığı<br>ბიზნესის კეთების სიმარტივე | № 6 |
| İş Başlama Kolaylığı<br>ბიზნესის დაწყების სიმარტივე | № 2 |
| Kredi Alma Kolaylığı<br>სესხის აღების სიმარტივე | № 12 |
| Küçük Yatırımcıların Koruması<br>მცირე ინვესტორთა დაცულობა | № 2 |
| İnşaat İzinleri İle Mücadele<br>სამშენებლო ნებართვის სიმარტივე | № 27 |
| Ekonomik Özgürlük Endeksi<br>ეკონომიკური თავისუფლების ინდ. | № 16 |
| Rekabet Edebilirlik Endeksi<br>კონკურენტუნარიანობის ინდექსი | № 74 |